ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის
წ ლ ი უ რ ი ა ნ გ ა რ ი შ ი

(2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე)

ა) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 5 (ხუთი) განცხადება. ყველა განცხადება დაკმაყოფილდა სრულად;

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული 5 (ხუთი) განცხადებიდან 4 (ოთხი) შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია; 1 (ერთი) შემთხვევაში - საქართველოს პარლამეტის წევრი;

გ) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული 5 (ხუთი) განცხადებიდან ყველას შემთხვევაში ინფორმაციის გაცემისთვის საჭირო იყო ათდღიანი ვადა, რის თაობაზეც განმცხადებელს ეცნობა დაუყოვნელივ, წერილობით.

დ) საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით განცხადება არ შემოსულა.

ე) სახელმწიფო რწმუნებულის განკარგულებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსის მოადგილე აკაკი სარალიძე

ვ) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გადაწყვეტილების შემთხვევებში ადმინისტრაცია ეყრდნობოდა „საქართველოს კონსტიტუციას“, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

ზ) ადმინსიტრაციაში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამაში საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა ხდება ავტომატურ რეჟიმში.

თ) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის თანამშრომელთა მხრიდან საანგარიშო პერიოდში „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევას და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადებას ადგილი არ ჰქონია.

ი) ადმინისტრაციის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია.

კ) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიში საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ხარჯების გაწევის აუცილებლობა არ წარმოშობილა.